ისევე როგორც სახვალიო ფეხბურთი

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 20 მაისი. 56 110 მაყურებელი.

“დინამო” (თბილისი) – “შახტიორი” (დონეცკი) 1:0.

“დინამო”: აბუსერიძე, მიქაბერიძე, ჩივაძე, პაიკიძე, არზიანი, კაკილაშვილი, ჟორდანია, სულაქველიძე, გუცაევი, ჟორჟიკაშვილი, შენგელია.

“შახტიორი”: ელინსკასი, ვარნავსკი, სოპკო, რადენკო, პარხომენკო, რუდაკოვი, იაშჩენკო, სოკოლოვსკი, მოროზოვი, იურჩენკო, გრაცოვი.

35–ე წთ. ჩივაძე.

46–ე წთ. გუცაევის ნაცვლად – ცაავა, ვარნავსკის ნაცვლად – შტურლაკი, 62–ე წთ. მოროზოვის ნაცვლად – აკიმენკო, 63–ე წთ. ჟორჟიკაშვილის ნაცვლად – სვანაძე.

მსაჯი: ანატოლი კადეტოვი (მოსკოვი).

გააფრთხილეს რადენკო.

კარში დარტყმა: 17:16 (8:7), ზუსტი – 7:6 (2:2), საჯარიმო მოედნიდან – 8:7 (4:4).

კუთხური: 13:6 (9:3).

დაჯარიმდნენ: თბილისელები – 7 (5), დონეცკელები – 16 (9).

სამი ასე თუ ისე სუსტი მეტოქის შემდეგ თბილისელებს “შახტიორის” სახით საკმაოდ ძლიერი ოპონენტი ჰყავდათ. ასეთ მატჩებს დიდი ფიზიკური და ნერვული ენერგია მიაქვს, მაგრამ ფიქრისა და განსჯისთვის, განზოგადებისთვის მეტ მასალასაც იძლევა.

ვგონებ, დონეცკელებთან თამაშით დასრულდა ერთი პერიოდი, რომელსაც პირობითად “ფეხბურთის სათამაშოდ მომზადების” პერიოდი შეიძლება ვუწოდოთ. აქამდე როგორც ფეხბურთელებისთვის, ისე მწვრთნელებისთვისაც გასარკვევი და დასადგენი იყო თითოეული მოთამაშის შესაძლებლობები და ფუნქციები. ეს პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ შედარებით მშვიდად და მოზომილად. ჩემპიონატის დაწყებიდან განვლილ დროს იმიტომაც ვუწოდე ფეხბურთის სათამაშოდ მომზადების პერიოდი, რომ ვფიქრობ, უკან დარჩა ქულის დაკარგვის ფსიქოლოგიური შიში. ბუნებრივია, ჯერჯერობით არავინ ელის და არც არავინ ითხოვს “ვარსკვლავების კრეფას”, მაგრამ 11 ქულა, ჩემი აზრით, სავსებით საკმარისია უფრო გაბედულად, გამარჯვების მეტი რწმენით თამაშისთვის. ალბათ ყველაფერ ამის თქმის უფლებას “შახტიორთან” მოპოვებული 2 ქულა და თვითონ თამაშის ხარისხიც იძლევა.

სხვათა შორის, მატჩის საგანაცხადო სიას მაყურებელში მაინცდამაინც დიდი ოპტიმიზმი არ გამოუწვევია – ისევ შეიცვალა “დინამოს” დაცვის ხაზი.

არ ვიცი, შესაძლოა ეს ყველაფერი გემოვნების ამბავიც იყოს, მაგრამ ყოფილ ნახევარმცველთა თუ თავდამსხმელთა მცველებად მონათვლის პრინციპი მე პირადად ძალზე მომწონს და ერთი გარემოების გამო “დინამოსთვის”, ვფიქრობ, ზედგამოჭრილიც უნდა იყოს. კონკრეტულად არავის ვგულისხმობ, მაგრამ ბოლო ორი წლის განმავლობაში გუნდში გამოცდილ მცველთა უმეტესობას საკუთარი საჯარიმოდან ბურთის გატანა და, მით უმეტეს, იერიშში ორგანულად ჩართვა არ შეუძლია. აი, ამ თვალსაზრისით მინდვრის შუაგულსა და მეტოქის ნახევარზე ნათამაშებ

ფეხბურთელს უთუოდ აქვს უპირატესობა. თუმცა, ისევ გავიმეორებ: ეს მაინც გემოვნების საკითხია. თუნდაც იმიტომ, რომ ამ სიკეთეს მეორე და, შეიძლება ითქვას, ჩრდილოვანი მხარეც აქვს. ასეთი ფეხბურთელი ბურთის წართმევაში ძალიან სუსტიც შეიძლება გამოდგეს. საგანგებოდ არ ვამბობ, თავის ძირითად ფუნქციებში–მეთქი, იმიტომ, რომ დღევანდელი მცველის მოვალეობა მეტოქის იერიშის მოგერიებით არ შემოიფარგლება. თუმცა, კმარა ამაზე.

სარეცენზიო მატჩში ყველაზე მძიმე სამუშაო ალბათ მაინც არზიანს დააწვა. გრაჩოვის (№11) შეჩერება არც ისე იოლი საქმეა. შეტევებში დონეცკელ ფორვარდს კარგად უბამდნენ მხარს მოროზოვი (№9) და, განსაკუთრებით, ცენტრალური ნახევარმცველი სოკოლოვსკი (№8). ის ფაქტი, რომ სოკოლოვსკი თბილისელთა კართან შექმნილი თითქმის ყველა სახიფათო სიტუაციის მონაწილე იყო, კარგს არაფერს ამბობს ჩვენს ცენტრალურ ნახევარმცველებზე. მე–18, 54–ე და 56–ე წუთებზე კი თვითონ სოკოლოვსკის შეეძლო გოლის გატანა. პირველ და მეორე შემთხვევაში ბურთი ოდნავ ასცდა კარს, მესამეში კი აბუსერიძემ იხსნა თანაგუნდელები.

მატჩის მე–20 წუთზე გუცაევის პასის შემდეგ საჯარიმოში შეჭრილი კაკილაშვილი მცველებმა წააქციეს. პენალტი? მსაჯის სასტვენი დუმს…

თბილისელებს გუცაევ–კაკილაშვილის კომბინაციამდეც ჰქონდათ გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა. ხელსაყრელი მომენტები დაკარგეს კაკილაშვილმა, მიქაბერიძემ, ჟორდანიამ.

24–ე წუთზე ძალზე ძლიერად და ზუსტად ურტყამს სულაქველიძე, ბურთი მცველმა მოიგერია. ათიოდე წუთის შემდეგ კარგი კომბინაცია გაითამაშეს მასპინძლებმა. გუცაევი–ჟორჟიკაშვილი–შენგელია. შენგელიას ოსტატური პასის შემდეგ მეკარის პირისპირ აღმოჩნდა ჟორდანია. მცველებმა ერთადერთი გამოსავალიღა მონახეს. პენალტი. მართალია, ელინსკასმა გამოიცნო დარტყმის მიმართულება (უფრო სწორად, მეკარისა და თბილისელთა კაპიტნის მიერ შერჩეული მიმართულებები ერთმანეთს დაემთხვა), მაგრამ ჩივაძის განმეორებითი დარტყმა ზუსტი გამოდგა – 1:0.

მეორე ტაიმში "შახტიორმა" ყველაფერი იღონა მატჩის გადასარჩენად, მაგრამ ორმა ცვლილებამ (მინდორზე გამოვიდნენ ცაავა და სვანაძე) სტუმართა ყველა მცდელობა გააბათილა. გუნდმა არათუ შეინარჩუნა პირველი ტაიმის აგრესიულობა, უფრო მწვავედაც შეუტია. აი, ეს ბოლო ფაქტი განსაკუთრებით სასიამოვნოა. მიუხედავად იმისა, რომ მეორე ორმოცდახუთ წუთში თბილისელებს გოლი არ გაუტანიათ, მაინც უნდა ითქვას: ორივე ცვლილება დროული და ზუსტი გამოდგა. ცაავას თავისთავად ურიგოდ არ უთამაშია (ვფიქრობ, ამ ფეხბურთელს მაინც მეტი შეუძლია და მეტიც მოეთხოვება), მაგრამ უფრო იმით გამოიჩინა თავი, რომ კაკილაშვილის თამაშს შემატა სიმძაფრე. სვანაძე კი მაყურებლისთვის ასე კარგად ნაცნობი, შარშანწინდელი ხალისით ჩაება თამაშში.

67–ე წუთი. ცაავა–ჩივაძე–შენგელიას მშვენიერი კომბინაცია.

71–ე წუთი. ცაავა–კაკილაშვილი–სვანაძე. თავური დარტყმა, ძელი!

74–ე წუთი. ელინსკასი ძლივძლივობით იგერიებს ჩივაძის საჯარიმო დარტყმას.

ერთი სიტყვით, კვირას "დინამოს" სტადიონზე მოსული მაყურებელი უკმაყოფილო არ უნდა წასულიყო შინ. მატჩზე საუბარს კი იმითვე დავამთავრებ, რითაც დავიწყე.

მცველთა შორის კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელის გამოჩენას, მართალია, დიდი ენთუზიაზმი არ გამოუწვევია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მიუხედავად რამდენიმე შეცდომისა, მიქაბერიძემ პირველი მატჩის კვალობაზე (დაცვაში) საკმაოდ კარგად ითამაშა. თუმცა, მაინც მინდა ვიფიქრო, რომ ეს ყველაფერი გუნდში შექმნილმა საქმიანმა ატმოსფერომ და ერთიანობის განწყობილებამ გახადა შესაძლებელი, ისევე როგორც სახვალიო ფეხბურთი, რომელსაც კვლავაც ველით "დინამოსაგან".

ირაკლი ბერიაშვილი

ინტერვიუ მატჩის შემდეგ

დავით ყიფიანი: "მიუხედავად იმისა, რომ გავიმარჯვეთ და ცალკეულ მომენტებში ურიგოდ არ გვითამაშია, "შახტიორთან" შეხვედრამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ის ნაკლოვანებანი, რომელთა დასაძლევადაც ბევრი მუშაობა მოგვიწევს. პირველ ყოვლისა, ეს ეხება შემადგენლობის ერთგვარ უთანაბრობას. თუ მოთამაშეთა ერთი ნაწილი საკმაოდ კარგად არის მომზადებული ფიზიკურადაც და სხვა წმინდა საფეხბურთო კომპონენტების მიხედვითაც, მეორე ნაწილის ფუნქციონალური მომზადება ვერ დგას სასურველ დონეზე. დამაფიქრებელია გუნდის დაბალი შედეგიანობაც: რვა გოლი ათ შეხვედრაში თბილისის "დინამოსთვის" ვერ ჩაითვლება კარგ მაჩვენებლად. თანაც, ამ რვა ბურთიდან უმეტესობა სტანდარტული მდგომარეობის (პენალტის, საჯარიმოს თუ კუთხურის) ზუსტი გამოყენების შედეგია. აქვე უნდა აღინიშნოს დინამოელთა საკმაოდ საიმედო თამაში დაცვაში – ათ მატჩში გაშვებული შვიდი ბურთი დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს. "შახტიორი" დღეს უმაღლესი ლიგის ყველაზე შედეგიანი გუნდია და სასიამოვნოა, რომ მასთან შეხვედრაში ჩვენს კარში გოლი არ გასულა.

მთავარი, რაზეც ახლა განსაკუთრებული მუშაობა გვმართებს, არის დაცვიდან შეტევაზე სწრაფი გადასვლა. თანაც, ამას ცალკეული მოთამაშეები კი არ უნდა აკეთებდნენ, არამედ ფეხბურთელთა დიდი ჯგუფი. ცალკეულ ეპიზოდებში ასეთი თამაში დონეცკელებთანაც გამოგვივიდა, მაგრამ საჭიროა ამას სისტემატური ხასიათი ჰქონდეს".

"ლელო", 22 მაისი, 1984 წ.